მთიანი ტერიტორიების გეოგრაფიული სპეციფიკა და

რეკრეაციული გამოყენების თავისებურებანი

სანდრო გოგოლაძე

ელ-ფოსტა: sandro.gogoladze467@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

მთები წარმოდგენილია ყველა კონტინენტზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მდებარეობის, ფართობის, სიმაღლის, ოროგრაფიის, ბუნებრივი პირობების, სიმაღლებრივი სარტყლურობის, ბარიერული თვისებების, გეოპოლიტიკური განვითარების დონის და სხვა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით. მთებში სპეციფიკური ფორმითაა გადაჯაჭვული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახება ადგილობივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების თავისებურებებსა და პრობლემებზე.

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად, არნახულ მასშტაბებს მიაღწია ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა დედამიწის იერსახე და ადამიანის საცხოვრებელი გარემო.

ასევე, მასშტაბური და გლობალურია ეკოლოგიური პრობლემების ზრდის ტენდენციები, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობს კეთილდღეობაზე. ერთის მხრივ, ყოველწლიურად იზრდება ტყიანი ტერიტორიების და ნაყოფიერი ნიადაგების დეგრადაციით „გამორჩეული“ ტერიტორიები, გაუდაბნოების და გაუდაბურების მასშტაბები, მეორეს მხრივ კი, მცირდება ჭარბტენიანი და მყინვარებიტ დაფარული ტერიტორიები, მტკნარი წყლის და მსოფლიო ოკეანის ბიოლოგიური რესურსები, ლითონური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, თვალსაჩინო ხდება ატმოსფეროს და წყლების დაბინძურება, ურბანიზაციის უარყოფითი პროცესები და სხვა. კიდევ უფრო რთულადაა ვითარება მთიან რეგიონებში. ისინი განსაკუთრებული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გარემოთი გამოირჩევიან. მსოფლიოს მთიანი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ცნობილია მკაცრი კლიმატური პირობებით, მიწის რესურსების სიმწირით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურით, დაბალი შემოსავლებით და განვითარების უპერსპექტივობით. თუმცა არის ადგილები (ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა), სადაც მთებში მცხოვრები მოსახლეობა თავს კომფორტულად გრძნობს, რადგან აქ მიმზიდველი სოციალურ ეკონომიკური გარემოა შექმნილი.

მთები ჯერ კიდევ გამოირჩევიან ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოთი, მტკნარი წყლის უდიდესი რესურსებით, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, კულტურული და ბუნებრივი მცენარეულობის ენდემური სახეობებით, სოფლის მეურნეობის, არქიტექტურის, ეთნოკულტურის განუმეორებელი და საინტერესო ფორმებით. მიუხედავად მიმზიდველობისა, მთიანი ტერიტორიების უდიდეს ნაწილში მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში და თითქმის სრულ იზოლაციაში ცხოვრობს. ფართო მასშტაბებს მიაღწია მიგრაციულმა პროცესებმა, რის გამოც არაერთი მთიან რეგიონს გაუდაბურება ემუქრება. ამგვარ ვითარებაში, თანამედროვე მსოფლიოში დღის წესრიგში აქტიურად დადგა მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობებისთვის ხელსაყრელ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს ფორმირებას. ამგვარი განვითარების მიღწევა მხოლოდ

განათლებული, ჯანსაღი და მოტივირებული საზოგადოების პრეროგატივაა, რომლის ფორმირებაში არსებითი როლი ინტერდისციპლინარულ და სისტემურ მენიერებებს ეკუთვნის.

მთები ტურიზმის განვითარების პოტენციალით გამორჩეულია მთელ მსოფლიოში. აქ ადამიანს განუმეორებელი ბუნება, ეთნიკური და კულტრული მრავალფეროვნება, მინერალური და სასმელი წყლები, ეფექტური პეიზაჟები და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები იზიდავს.